შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail:
expertisecntr@gmail.com m.599179823

_____ № 10.10.2016
თქვ. № 06-75

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, საირმის გორაზე მშენებარე

საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი

2016 წელი

ვამტკიცებ შპს "შენობა-ნაგებობების
კვლევის და ექსპერტიზის ცენტრი"-ს
დირექტორი ----------
რ. ცხვედაძე

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, საირმის გორაზე მშენებარე

საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

შემსრულებელი:

ექსპერტი, საქ. ტექნიკური

უნივერსიტეტის პროფესორი ---------- დ. ჯანჯარაშვილი

თბილისი

2016

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების აფუძველი.....3
2. გამოყენებული ლიტერატურა 3
3. კვლევითი ნაწილი 4
4. დასკვნა 6

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2016 წლის 10 სექტემბერს შპს "ლუჩო"-ს დირექტორი თამაზ გაბისონია - და შპს „შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ის დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ექსპერტიზის ჩატარება ქ. თბილისში, საირმის გორაზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

2. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ";

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა" (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „მეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები"
(პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

7. СниП 2-03-01-84 бетонные и железобетонные конструкции, М.1988г.

8. СниП 2-02-01-83 основания зданий и сооружений, М.1983г.

9. Справочник проектировщика. «Основания фундаменты и подземные сооружения». М.1985г.

3. კვლევითი ნაწილი

საპროექტო ტერიტორია სადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენდება მდებარეობს ქ. თბილისში, საირმის გორაზე. საპროექტო დასკვნაზე წარმოდგენილია აღნიშნული ობიექტის კონსტრუქციული ნაწილი. პროექტი შედგენილია კონსტრუქტორ რ. ლობადის მიერ.

კონსტრუქციულად საკვლევი შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომებით ღერძებში 43.4X20.25 მ, მდებარეობს ოდნავ დახრილ რელიეფზე. შენობა წარმოადგენილია კარკასული მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციით და წარმოადგენს სვეტების, დიაფრაგმების და რიგელების ერთობლიობას. მისი დაფუძნება ხდება წერტილოვანი და რანდკოჭების მქონე საძირკველით. წერტილოვანი საძირკვლების ფილის სიმაღლეა h=85 სმ, გეგმაში ფილების ზომებია 3.0X3.0; 2.5X2.5 და 2.0X2.0 მ. წერტილოვანი საძირკვლები შეკრულია ერთმანეთან რანდ-კოჭებით. სართულების სიმაღლე ცვლადია: h=4.04; 3.29; 3.54 მ-ია. შენობის საერთო სიმაღლე 26.85 მ-ია (მიწისქვეშა სართულების ჩათვლით). სართულების რაოდენობა: ორი მთლიანად მიწისქვეშა და 5 მიწისზედა სართული და მანსარდა. სარდაფი: 2 სართული პარკინგი, შენობის საერთო ჩაღრმავება 6.15 მ.

გამომდინარე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებიდან აგრეთვე შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან, შენობის საძირკველი ეფუძნება არგელიტებისა და ქვიშაქვების წყების მორიგების გრუნტის ფენას, რომლის წინაღობა ერთღერძა კუმშვისას წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ტოლია R_0=60,600 კგ/სმ^2.

გამოსაკვლევი შენობის მზიდი ელემენტებია: რკინაბეტონის მონოლითური სვეტები განივი კვეთის ზომებით: 60X60; 55X55; 50X50; 45X45 და 40X40 სმ; დიაფრაგმები სისქით h=30 სმ; პარკინგის სართულის შემომზღუდავი მონოლითური

რკინაბეტონის h=30 სმ სისქის კედლები, რომელზეც გრუნტის მხარეს მოეწყოს ჰიდროიზოლაცია, გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილები სისქით h=16 სმ. სართულსშორისი კიბეები რკინაბეტონის.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შედგება 45 ფურცლისგან.

ფურცელ (0)-ზე მოყვანილია პროექტის განმარტებითი ბარათი;

ფურცელ (1÷ 3)-ზე მოყვანილია საძირკვლების განლაგების გეგმა;

ფურცლებზე (4) მოყვანილია კვეთი 4-4 და 5-5 კვეთების არმირება;

ფურცლებზე (7 ÷9) მოყვანილია დიაფრაგმების გეგმა;

ფურცელ (10)-ზე მოყვანილია მონოლითური სვეტების სამონტაჟო სქემა;

ფურცლ (11÷ 12)-ზე მოყვანილია მონოლითული სვეტები;

ფურცლ (14) მოყვანილია გადახურვის გეგმა;

ფურცლებზე (15÷ 16) მოყვანილია მონოლითური რიგელი მრ-1÷მრ14;

ფურცლ (17) მოყვანილია გადახურვის გეგმა;

ფურცელ (18)-ზე მოყვანილია მონოლითური რიგელი მრ-1÷მრ-14;

ფურცელ (19)-ზე მოყვანილია გადახურვის გეგმა +4.20; +7.50; +14.10; +17.40;

ფურცლებზე (20÷ 21) მოყვანილია მონოლითური რიგელი მრ-1÷მრ-14;

ფურცლ (21) მოყვანილია რიგელის არმირების სპეციფიკაცია;

ფურცლ (23) მოყვანილია გადახურვის გეგმა +20.70;

ფურცლებზე (24÷ 26) მოყვანილია მონოლითური რიგელი მრ-1÷მრ-14;

ფურცლ (27) მოყვანილია გადახურვის გეგმა +24.15;

ფურცლ (28) მოყვანილია მონოლითური რიგელი მრ-2÷მრ-13;

ფურცლ (29) მოყვანილია რიგელის არმატურების სპეციფიკაცია;

ფურცლებზე (30÷ 31) მოყვანილია სართულშორისი ფილის კონსტრუქციების განაწილების გეგმა: -6.15; -3.45;

ფურცლ (32) მოყვანილია პანდუსი №1 (-6.15÷3.45);

ფურცლებზე (33÷ 35) მოყვანილია სართულშორისი ფილის კონსტრუქციების განაწილების გეგმა: 0.00; +4.20; +7.50; +10.80; +14.30; +17.40; +20.70; +24.15;

ფურცლებზე (36÷ 37) მოყვანილია სვეტების და რიგელების არმატურების ჩარჩოები;

ფურცლ (38) მოყვანილია კიბის სამონტაჟო გეგმები;

ფურცლებზე (39÷ 43) მოყვანილია კიბის ძირითადი კვანძები;

ფურცლ (44) მოყვანილია კიბის ძირითადი კვანძები, გაძლიერება სვეტების.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია, თოვლის დატვირთვა აღებულია 50 კგ/სმ²; პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა მიეკუთვნება II კლასს.

შენობის გარე შემომზღუდავი და ბინათშორისი კედლები შესრულებულია მსუბუქი შემავსებლით - არმირებული წყობით.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი.

წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.09) ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01.09); "მშენებლობის და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01.08)"; სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05.08)"; СНиП 2,01,07,85 Нагрузки и воздействия. მოთხოვნათა შესაბამისად.

საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გვაქვს შემდეგი შენიშვნა:

1. არ არის ფუნდამენტის ნახაზე ჰორიზონტალური ზომები დატანილი;
2. ნახაზებზე შენიშვნები არ არის მოყვანილი.

4. დასკვნა

ქ. თბილისში, საირმის გორაზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გადაწყვეტა მისაღებია, შესრულებულია მაღალ დონეზე, შენიშვნა ატარებს სურვილის ხასიათს. ნაშრომს ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად და მის გამოყენებას მშენებლობაში.

მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 10.10 2016 წ.

ამ აქტზე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ერთის მხრივ შპს „ლუჩოს“ დირექტორი თამაზ გაბისონია (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „შენობა -ნაგებობებათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, რევაზ ცხვედაძის, სახით ვადგენთ ამ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2016 წლის № 75 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

- ასანაზღაურებელია სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.
- არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

გადასახდელი თანხის საერთო რაოდენობა შეადგენს 500ლარს.

ეს აქტი შედგენილია ორ ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

დამკვეთი:შპს „ლუჩოს“ დირექტორი თამაზ გაბისონია

შემსრულებელი: შ.პ.ს. „შენობა - ნაგებობებათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი 404862699
ს სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი – 220101502 , ანგარიშსწორების ანგარიში GE98BG0000000956378500
მისამართი: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
ტელეფონი: 599 17 98 23

დირექტორი: რევაზ ცხვედაძე